საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 24 ნოემბერი 2011 წელი

გადაწყვეტილება № 4

განსაკუთრებული შემოქმედებითი მიღწევისათვის
ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტის წახალისების მიზნით
ერთჯერადი სტიპენდიის დაწესების შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 18-ე მუხლის პირველი პუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2011 წლის 21 ნოემბრის №85 დადგენილების საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1 განსაკუთრებული შემოქმედებითი მიღწევისათვის ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტის წახალისების მიზნით დაწესდეს ერთჯერადი სტიპენდია 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

2. შესაბამისი ცვლილება განხორციელდეს „ ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესში".

3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი **თ. მეიშვილი**